წერილის ნომერი: **18-01251471997**
თარიღი: **27/05/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01251412555
წერილის თარიღი:	21 მაისი, 2025
განმცხადებელი:	მარიამ ლორთქიფანიძე
განაცხადის N	AR11091905
მისამართი	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #33
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.14.05.006.055
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე; 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა; I კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	სამსახურის პოზიციის დაფიქსირება მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	თანასაკუთრება
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური)
არსებული შეზღუდვები	----------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ფოტოსურათები ფოტომონტაჟი
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია სამსახურის პოზიციის დაფიქსირება მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის დადგენილებით №52-13 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58

დადგენილება“) დანართი N1, მე-3, 29-ე, 30-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიაზე და მიმდებარედ (3 მეტრის მანძილზე) არსებული თითოეული ნარგავის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაციას მწვანე ნარგავების გადარგვისა და შემდგომი გახარების შესაძლებლობის თაობაზე და მცენარეების (ნუმერაციის მიხედვით) სრულად ამსახველ ფერად ფოტომასალას (A4 ფორმატით), საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის სახით მითითებული უნდა იყოს რომელი მწვანე ნარგავის (ნუმერაციის მიხედვით) მოჭრა/გადარგვა იგეგმება.

ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ტოპო. გეგმა საპროექტო ნაგებობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო ნაგებობასა და მწვანე ნარგავებს შორის მანძილების აღნიშვნით.

აქვე მოგახსენებთ, რომ დაინტერესებულმა პირმა ტოპო.გეგმაზე უნდა დაიტანოს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი